საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 130-ე მუხლის და 132-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების შესაბამისად,

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დამტკიცდეს „2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია“.

2. დაევალოს საქართველოს მთავრობას:

ა) 2021 წლის 1 აპრილამდე, „2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ (შემდგომში „კონცეფცია“) განხორციელებისთვის შეიმუშავოს სამოქმედო გეგმა (შემდგომში „სამოქმედო გეგმა“), რომელშიც განსაზღვრული იქნება კონკრეტული აქტივობები, განხორციელებაზე პასუხისმგებელი დაწესებულებები;

ბ) საერთო კოორდინაცია გაუწიოს კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის განხორცილებას და მის მონიტორინგს.

3. ეთხოვოთ ადგილობრივი თვითმმართველობების ერთეულებს, მათი კომპეტენციის ფარგლებში, ხელი შეუწყონ კონცეფციის სტრატეგიული პრიორიტეტებისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებას ადგილობრივ დონეზე.

4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის **არჩილ თალაკვაძე**

თავმჯდომარე